ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
სივრცითი დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და
სამშენებლო ნებართვების სამსახური
KUTAISI CITY MUNICIPALITY
SPATIAL PLANNING, MONUMENT PROTECTION AND CONSTRUCTION
PERMITS OFFICE

წერილის ნომერი: **10-4422236103**
თარიღი: **24/08/2022**

ადრესატი: ელენე ხაჭაპურიძე
პირადი ნომერი: 60001123054
მისამართი: ქუთაისი თამარ მეფის ქ. N 81 ბ. 46

ქალბატონო ელენე,

თქვენი 2022 წლის 9 აგვისტოს N19/4422221413-44 მომართვასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება:

1. 2003 წლიდან 2022 წლის ივლისის ჩათვლით მრავალსართულიანი ბინის/სახლის მშენებლობის ნებართვებს, ასლებს, ადგილმდემარეობისა და სართულიანობის მიხედვით.
2. განცხადებების რაოდენობას მრავალსართულიანი ბინის/სახლის მშენებლობაზე, რომელიც ჯერ არ განხილულა და ნებართვა გაცემული არაა.
3. 2003 წლიდან 2022 წლის ივლისის ჩათვლით მრავალსართულიანი ბინის/სახლის მშენებლობაზე იმ განცხადებების რაოდენობას, რომელიც არ დააკმაყოფილა ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისმა სამსახურმა და მშენებლობის ნებართვა არ გასცა და მიზეზს, რის გამოც უარი ეთქვათ, გაცნობებთ შემდეგს:

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით იმ ობიექტების სიას დანართის სახით, რომლებზედაც გაიცა, ან არ დააკმაყოფილა განცხადება მშენებლობის ნებართვაზე 2017 წლის აპრილიდან დღემდე, რაც შეეხება იმ განცხადებებს, რომლებზედაც ნებართვა არ გაიცა, აღნიშნული პროექტები არ აკმაყოფილებდა სხვადასხვა პერიოდში მოქმედ 2009 წლის 24 მარტის N57-ე , 2014 წლის 15 იანვრის N59-ე , 2016 წლის 28 იანვრის N41-ე, 2019 წლის N261-ე, ამავე წლის 31 მაისის N255-ე დადგენილებებს. ვინაიდან ჩვენს სამსახურში ელექტრონული საქმისწარმოება მიმდინარეობს ზემოთ მითითებული თარიღიდან, ხოლო 2007 წლიდან 2017 წლამდე არსებული ყველა დოკუმენტაცია ინახება ქალაქ ქუთაისის მერიის არქივში, 2007 წლამდე არსებული დოკუმენტები კი ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ არქივში. ინფორმაციის სრულად მოწოდება სცდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს და მიმართეთ შესაბამის სამსახურს.

პატივისცემით,

მამუკა კუბლაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი